საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია — მთავარ კომიტეტის ორგანო.

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა" თვიურად ღირს 100,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე 500,000 უკანასკნელზე 300,000 მ. განცხადება 10.000მ. ნონპარელის სტრიქონი. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება 10—12 ს. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტისყუთი № 190, ტელეფონი 10—34.

№ 352

პარასკევი, ნოემბრის 24 1922 წ.

ტფილ. ფასი 50ას მან. ▭ პროვინც. 5000 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რუსთაველის თეატრი

სახელმწიფო აკადემიური დრამა

შაბათს 25 და კვირას 26 ნოემბერს

### ცხვრის წყარო

დადგმა კ. მარჯანიშვილისა.

დასაწყისი სრულ 8 საათზე

№ 165. 2—1

## სახელმწიფო აკადემიური თეატრი

### ოპერა

პარასკევს 24 ნოემბერს

დოლიძის მონაწილეობით

### ი ა დ ა

შაბათს 25 ნოემბერს

### მინიონი

დასაწყისი სრულ 8 ს. მე 3 ზარის შემდეგ დარბაზში შესვლა აკრძალულა.

კასსა ღიაა 11—2 სა-მდე და საღამოს 6-დან წარმოდგენის დამთავრებამდე.

№ 166. 1—1

**შაბათს, 25 ნოემბერს საღამოს 6 საათზე ალმასკომის შენობაში დანიშნულია ქალაქის ალმასკომის მორიგი სხდომა. დასწრება ყველა წევრთათვის სავალდებულოა.**

მდივანი ხუნდაძე

## ქართული ენის უფლებისათვის

ქართული ენის მდგომარეობა ვერ არის სასურველს პირობებში ჩაყენებული. ამის შესახებ ჩვენ არა ერთხელ დაგვიწერია ჩვენი გაზეთის ფურცლებზედ. მაგრამ ლაწერას აზრი და მნიშვნელობა მაშინ ექნება, როდესაც შესაფერისი პრაქტიკული ნაბიჯი იქნება გადადგმული ჩვენი ენის არა სასურველ პირობების გამოსასწორებლად.

ენის საკითხის შესახებ ერთხელ კიდევ გვინდა მივაქციოთ ჩვენი ხელისუფლების ყურადღება, რომ მან სათანადო ზომები მიიღოს და შესაფერისი უფლებებით აღჭურვოს ჩვენი ენა.

ენა კულტურული წარმატების იარაღია. ის უდიდესი კანტროლი არის ერის კულტურული აღორძინების საქმეში. თუ ეროვნული ენა არ შემოსეთ შესაფერისი უფლებებით და არ გახადეთ იგი პრაქტიკულ ცხოვრების მთავარ ხერხად, ერის კულტურულ წარმატებაზე ლაპარაკი ზედმეტია.

მაგრამ ენის საკითხს მეორე მხარეც აქვს. დღევანდელ პოლიტიკურ გართულების ხანაში ენას დიდი ადგილი ეთმობა, როგორც პოლიტიკური ბრძოლის იარაღს. იმპერიალისტური სახელმწიფოები ჩამორჩენილ ერების შევიწროებასა და დაჩაგვრას ახერხებდენ გაბატონებული სახელმწიფოს ენის თავზედ მოხვევით. ისინი სავალდებულოდ ხდიდნენ დამონებულ ერებისათვის თავის ნაციონალურს ენას და ამით ამ ერების დენაციონალიზაციას უწყობდნენ ხელს. იმპერიალისტური რუსეთის მთელი პოლიტიკა იქითკენ იყო მიმართული, რომ გაენადგურებინა მისი ბატონობის ქვეშ მოყოლილი ერები და არ მიეცა მათთვის ნაციონალური წარმატების საშუალებანი. ამ მიზნით რუსეთის პოლიტიკოსები რუსული ენის გაბატონებასაც ალწევდნენ. რუსიფიკატორული პოლიტიკის ერის მთავარ იარაღს რუსული ენაც შეადგენდა.

რუსეთის ცარიზმი ძირიან ფესვიანად აღმოფხვრა ოქტომბრის დიდმა რევოლიუციამ ამით ნიადაგი გამოეცალა ყოველგვარ ძალ-დატანებასა და რუსიფიკატორულ პოლიტიკას. მიუხედავად ასეთი სოციალ-პოლიტიკური ცვლილებებისა ქართული ენა მაინც შევიწროებას განიცდის თავის სამშობლოში. ეს არის ნაშთი ძველი რუსეთის მოღვაწეობისა, რომლის აღმოფხვრა არც ისე ადვილი საქმე არის და რომლის წინააღმდეგ ჩვენ სისტემატიური ბრძოლის გამოცხადება დაგვჭირდება.

ენის საკითხი ჩვენში მწვავე ხასიათს ღებულობს. ამის არ დანახვა შეუძლებელია. ფაქტიური მდგომარეობა ჩვენი ენისა მეტად სამწუხარო არის. იურიდიულად ჩვენმა ენამ უკვე მოიპოვა თავისი უფლებები. მთელს რიგ დეკრეტებში საქართველოს რევკომმა სავალდებულოდ გახადა ქართული ენა ჩვენს დაწესებულებებში. სრულიად საქართველოს საბჭოების ყრილობამ დაადასტურა ეს დადგენილებები და თავის კონსტიტუციაში შეიტანა მუხლი, რომლითაც ქართული ენა გამოცხადებულია სახელმწიფო ენად, ამ გვარად მთელი რიგი სავალდებულო დადგენილებისა სათანადო ორგანოების მიერ ჩვენ გვეშლის სასურველ იურიდიულ უფლებებს ჩვენი ენისას, მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა. პრაქტიკულად ქართული ენა შევიწროებას განიცდის.

ამიერ-კავკასიის ფედერაციის შექმნამ ზოგიერთების შემეცნებაში დაბადა ამ მდგომარეობის გამამართლებელი აზრი, თითქოს ფედერაციაში შესაძლებელი იყოს ერთი სავალდებულო ენის შემოღება.

ასეთი მოსაზრება ყოვლად ყალბია და ვერ უძლებს ელემენტარულ კრიტიკასაც ბურჟუაზიულ სახელმწიფოების პრაქტიკამაც კი არ იცის ასეთი უაზრობა. შვეიცარიის ფედერაციაში სახელმწიფო ენად მიღებულია სამი ენა: ფრანგული, გერმანული და იტალიური ენები. ჩვენი ფედერაცია სამი მთავარი რესპუბლიკებისაგან შესდგება, რომელნიც საკმაოდ განსხვავდებიან თავიანთი კულტურით, ისტორიითა და საერთო განვითარების დონით ერთმანეთისაგან. ამ რესპუბლიკებში, როგორიც შინაარსი და ფორმაც არ უნდა მიიღოს ამიერ-კავკასიის ფედერაციამ და სახელმწიფოთა დაკავშირების საქმემ, დაცული უნდა იქნეს ეროვნული ენების უფლებები.

ამ ზოგადი მოსაზრებიდანაც ნათელი უნდა გახდეს ყველასათვის, რომ იმ ანორმალურ მდგომარეობას, რომელსაც ადგილი აქვს ჩვენში ენის საკითხის გარშემო, შეუძლებელია რაიმე გასამართლებელი საბუთი მოეძებნოს. ანომალია ითხოვს მიზან შეწონილ მოქმედებას, რომ მას შემდეგში არ ექნეს ადგილი. ჩვენ ვფიქრობთ ეს შესაძლებელი იქნება, თუ ხელისუფლება სავალდებულოდ გახდის ყველა დაწესებულებებისათვის, არა სიტყვით, არამედ საქმით ქართულს ენას.

ენის საკითხი შეუძლებელი არის სხვა თვალსაზრისით იქნეს ჩვენში განხილული, არა საქართველოს მშრომელი ხალხის სარგებლიანობის საზომით. ინტელიგენცია ადვილად გადის უცხო ენითაც. მას მშობლიურ ენასთან ერთად უცხო ენაც კარგად ესმის და თავისუფლად იმარჯვებს მას პრაქტიკაშიც. ჩვენი მშრომელი ხალხი კი ამას მოკლებულია და მას მხოლოდ მშობლიური ენაზე ესმის და მხოლოდ ეს იცის. ამ საზომით თუ მივუდგებით დღევანდელ მდგომარეობას, ჩვენ უნდა დავადასტუროთ, რომ სავსებით საზარალო არის ჩვენი მშრომელი ხალხისათვის და „ინტელიგენციის" პრივილეგიების გამეფებაა. ვისაც სურს ენის საკითხი პრაქტიკული სარგებლიანობის საზომით განიხილოს ის მშრომელი ხალხის ინტერესების მიხედვით უნდა მიუდგეს კითხვას და არა გაბატონის შიგ ინტელიგენტური საზომით.

დღევანდელ პირობებში კი, როგორც ვხედავთ, „ინტელიგენტშჩინამ" ძლიერ სძლია საზომს და ისეთი მდგომარეობა გაბატონდა, რომლის გაგრძელება არ არის სასურველი.

ხან-ლთნი

## განათლების ფრონტზე გაჭირვებაა

განათლების ფრონტზე დიდი გაჭირვებაა! თითქმის ყველგან მოხდა სიმშილობის ლიკვიდაცია, მაგრამ მასწავლებელთა მდგომარეობის გაუმჯობესებას არაფერი ეშველა. აქ კვლავ სიმშილობაა, ვინაიდან ისედაც მცირე ჯამაგირის ორი სამი თვის შემდეგაც ვერ ღებულობს მასწავლებელი: ჯერ სხვა საქირო ებანი უნდა დაკმაყოფილონ და თუ რამ გადარჩა, მასწავლებლებსაც გადაუხდიან... მომთმენი ხალხია და შეჩვეულიც ასეთ მდგომარეობას.

მაგრამ განათლების საქმეც რომ ფერხდება? ზოგი ასე ფიქრობს: განათლების საქმეც მოითმენს, არა უშავსრა. მართალიც და სულაც რომ დაიხუროს სკოლები, ამით არც ეკონომიურების ქონებას შეეშლება ხელი, არც მატარებლებს იარსებო შეეფერხება, არც ტრამვაის, არ ქალაქის განათება ელექტრონით და არც მ ზრების. მაშასადამე ჯერ ქალაქის ქუჩები უნდა გავ მშვენიეროთ, ჯერ ტრამვაის ახალი ლიანდაგი უნდა გავიყვანოთ, მთებზე ტყე მოვუშენოთ, რომ ქალაქის ქუჩები ნიაღვარმა არ გადარეცხოს; ჯერ რკინის გზის ახალი ლიანდაგი უნდა გავიყვანოთ, ჰიდრო-ელექტრო სადგურები უნდა ავაგოთ, რომ ქალაქი და სოფლები ელექტრონით გავანათოთ და მრავალი სხვა ასეთები უნდა შევასრულოთ ჯერ. კარგი და აუცილებელია განათლებაც, რასაკვირველია, უნდა, მაგრამ ღარიბია ჩვენი ქვეყანა და არა აქვს მეტი საშუალება. ასე მსჯელობს „ნეპოთი" და სამეურნეო ანგარიშით გატაცებული ხალხი.

მაგრამ ეს მეტის მეტია და როგორმე თავი უნდა დავაღწიოთ „ანგარიშიანობით" გატაცებას. საჭიროა გამოფხიზლება ამ გატაცებისაგან და უფრო საღი მსჯელობა. როდესაც განათლების ფრონტზე მინიმალურ მოთხოვნილებასაც ვერ ვაკმაყოფილებთ,—ვერ ვაძლევთ ჯამაგირებს, ვამცირებთ სკოლების რიცხვს და რაც დაგვრჩა, ისინიც სრულიად მოუწყობელი გვაქვს,—ამ დროს ეკონომიურ ფრონტზე მაქსიმალურ მიღწევათა მიზნად დასახვა,—უსათუოდ დიდი შეცდომაა ჩვენი თაობისა და მომავალი თაობა არ გვაპატიებს, რომ განათებას განათლებაზე წინ დავაყენეთ.

ვერავინ იტყვის, რომ წითელ ფინანსისტებს და ეკონომისტებს ანგარიშიანობაში ჩამორჩებოდნენ ბურჟუაზიულ ფინანსისტ ეკონომისტები. მაგრამ ერთი მოთხარით, რომელ ბურჟუაზიულ ქვეყანაში დაუსახავთ მიზნად—ჯერ განათება და შემდეგ განათლება! რომელ კაპიტალისტურ ქვეყანაში ამცირებენ სკოლებს და აგებენ ჰიდრო-სადგურებს? მით უფრო დაუშვებელია ასეთი რამ საბჭოთა ქვეყნებში. უეჭველად „ნეპომ" აგვაცდინა სწორ გზას, გაგვიტაცა საბჭოურ ნეო ანგარიშის პოლიტიკამ და პირდაპირ დავადექით ისეთი უცნაური გლეხის გზას, რომელიც ჯერ ქონებრივად მოღონიერებას: ყიდულობს ადგილებს, იძენს ხარ-კამეჩს, ცხენს, აშენებს ვენახს, ჩინებულად აწყობს კარმიდამოს და შვილები კი განათლებული რჩება. ამავე დროს დარწმუნებულია, რომ მტრებს თვალები ლეუყენა.

ჩვენი კი, რომ მართლა გავიმარჯვოთ და ამ გლეხსავით თავი არ მოვიჭყუილოთ, ვითომც მტრებს თვალები დავუყენეთო, უეჭველად უფრო გონივრულად უნდა მოვიქცეთ და ახალი თაობას ალზრდა-განათლებას მეტი ყურადღება მივაქციოთ არა მარტო სიტყვით—საქმითაც.

ომეგა

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**ბონარ ლოუს სიტყვა.** ლონდონის ლორდ მერის ბანკეტზედ ბონარ ლოუმ თავის სიტყვაში განაცხადა, რომ ყოველი მთავრობის მიზანს უნდა შეადგენდეს მშვიდობიანობის დამყარება, მას შემდეგ, რაც კაცობრიობამ ესოდენი ომები გადაიტანა. ბ. ლოუმ მწუხარებით გამოსცხადა, რომ ამერიკა არ არის ერთა ლიგის წევრი. აღმოსავლეთის საკითხის შესახებ მან განაცხადა, რომ ინგლისის ვალიუტის სიმტკიცე საზღვარ გარეთ მიღებულია, როგორც ნიშანი იმისა, რომ ინგლისი ყველაზედ მცირედ დაზარალდა ომის დროს, რაც სიმართლეს არ შეეფერება. მან აღნიშნა, რომ ვალიუტის სიმტკიცე ინგლისის დიდად მრავალი მსხვერპლი რომელმაც გამოიწვია წარმოების დაცემა და აქედან უმუშევართა გამრავლებაო. რაც შეეხება გერმანეთის ადგილს ამ საკითხში თანასწორად დაინტერესებული არიან როგორც საფრანგეთი ისე ინგლისიო.

— **იარაღის ჟღარუნი.** ოსმალეთის მიმართ საფრანგეთის პრესა არ სდგას ძველებურად პაციფისტური ნიადაგზე და მოითხოვს მოკავშირეთა მიერ მთლიანი ფრონტის გაძლიერებას ოსმალეთის წინააღმდეგ და თუ საჭირო იქნება გამოყენებული უნდა იქნეს სამხედრო ძალაც ბალკანეთის სახელმწიფოების, განსაკუთრებით კი რუმინეთისა.

## კომინტერნის კონგრესი

**მოხსენება ახლო-აღმოსავლეთის შესახებ.**

**მოსკოვი. ნოემბ. 23.** ახლო-აღმოსავლეთის საკითხების შესახებ მომხსენებელი რავენშტეინი შეეხო პროლეტარიატის ამოცანებს ახლო-აღმოსავლეთში, კაპიტალიზაციის სისტემის მოსპობას, და მოითხოვა ბალკანეთის და წინააზის ხალხებისათვის ეროვნულ ავტონომიის მინიჭება.

ინდოეთის დელეგატმა როის აღნიშნა კომუნისტური პარტიის როლი აღმოსავლეთში და შეეხო მთლიანი ანტი იმპერიალისტური ფრონტის შექმნის საკითხს.

კონგრესმა ერთხმად მიიღო ჩინეთის და იაპონიის დელეგაციების მიერ წარმოდგენილი რეზოლიუცია, რომელიც საჭიროებს ძალებს საჰალინის და იაპონიის მშრომელთ და პროტესტს აცხადებს სახალინის ოკუპაციის გამო.

**ხარკოვი. ნოემბ. 22.** პროგრამის საკითხის განხილვის შემდეგ, კონგრესმა მოისმინა ზინოვიევის განცხადება, რომ პროექტი და პროგრამმა გადაეცემა კომინტერნის აღმასრულებელ კომიტეტს რომელიც აქვეყნებს მას წარმოდგენის შემდეგ პროგრამაში აღნიშნული უნდა იყოს გარდამავალ ხანაში ნაწილობრივი მოთხოვნილებებისათვის ბრძოლის აუცილებლობა. ეს საკითხი ხაზგასმული უნდა იყოს (გამოტოვებულია).. მეოთხე კონგრესი კიცხავს ცდას წარმოიდგინონ ნაწილობრივი მოთხოვნა როგორც ოპორტუნიზმი. კონგრესი გმობს აგრეთვე ცდას რევოლიუციონური ამოცანები შესცვალონ ან დაპბნელონ ნაწილობრივი მოთხოვნით. გარდამავალი მოთხოვნანი უნდა გამომდინარეობდეს ცალკე ქვეყნების ეკონომიური პოლიტიკიდან და სტრუქტურიდან.

**დამშეულთა დახმარების საკითხი.**

უცხოეთის მიერ დამშეულთა დახმარების საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა მიუნცენბერგმა. მომხსენებლის სიტყვით დახმარება გამოიხატა მხოლოდ ერთ მილიონ ფუთ პროდუქტების მიწოდებაში, მაშინ როდესაც, (გამოტოვებულია)... სიმშილობასთან ბრძოლის კომპანიამ გამოაშკარავა მუშათა კლასის ერთსულოვანი თანხმობა, რამაც აიძულა რეაქციონური მთავრობა. (გამოტოვებულია)... ამსტერდამის ინტერნაციონალიც იძულებული იყო მუშათა კლასის ზეგავლენით მატერიალური დახმარება გაეწია საბჭოთა რუსეთისათვის.

ამსტერდამის ინტერნაციონალმა შეაგროვა დამშეულთა სასარგებლოდ სულ 1.400.000 ჰოლ. გულდენი, იმ დროს, როდესაც კომუნისტურმა კომიტეტმა (გამოტოვებულია)... შემდეგ ორატორი ეხება მასიური იმიგრაციის საკითხს და წინააღმდეგია მისი.

## ახლო აღმოსავლეთი

**ლოზანას კონფერენცია**

**კონფერენციის პლენუმზე**

**მანთვერი. 23 ნოემბერი.** 21 ნოემბერს კონფერენციის მე 2 სხდომაზე ოსმალეთის დელეგაცია მოითხოვდა კონფერენციაზე შავი ზღვის განაპირა სახელმწიფოების, განსაკუთრებით კი რუსეთის და შვეიცარიის მოწვევას. მოკავშირეებმა ამ მოთხოვნილებაზე უპასუხეს, რომ ყველა შავი ზღვის განაპირა სახელმწიფოებმა მიიღებს მიწვევა სრუტეების საკითხის განხილვაზე.

**ნაპოლი. 23 ნოემბერი.** ოსმალებმა ლოზანაში წამოაყენეს მოთხოვნილება რათა მოლაპარაკებაზე ზავის შესახებ დაშვებული იქნეს როგორც რუსეთი, ისე შავი ზღვის განაპირა სახელმწიფოები. მოკავშირეებმა უპასუხეს, რომ დაუშვებენ რუსეთს მხოლოდ სრუტეების საკითხის განხილვაზე.

**ტერიტორიალურ კომისიაში**

**ბორდო, 23 ნოემბერი.** ტერიტორიალურ კომისიაში ისმეტ ფაშამ მოითხოვა 1913 წლის ოსმალეთის საზღვრების დაწესება და თრაკიაში პლებისციტის მოხდენა.

ვენიზელოსმა აღნიშნა მიზეზები, რომლითაც ხელმძღვანელობს საბერძნეთის დელეგაცია, როდესაც ეთანხმება მხოლოდ 1915 წლის საზღვრების დაწესებას. ვენიზელოსმა აგრეთვე განაცხადა, რომ მისი აზრით, თრაკიის საკითხი არ უნდა იქნეს წამოყენებული კონფერენციაზე.

ნინჩიჩმა გამოსთქვა სურვილი, რათა საზღვრები დაწესებულ იქნეს მდინარე მარიცის ხაზზე მოკავშირეთა სახელმწიფოთა 22 სექტ. ნოტის თანახმად.

რუმინიის წარმომადგენელი დუკა ეთანხმება ნინჩიჩის განცხადებას.

დილით მოისმინეს ბოლგარიის დელეგაციას ბოლგარიის ეგეის ზღვაზე დაშვების საკითხის შესახებ.

**ბორდო 23 ნოემ.** გუშინ დილით მომავალ საზავო ხელშეკრულების ტერიტორიალურ და სამხედრო მუხლების კომისია შეუდგა თავის მუშაობას ლორდ კერზონის თავმჯდომარეობით პირველად განხილულ იქნა საკითხი თრაკიის საზღვრების შესახებ.

**ლიონი 23 ნოემბ.** ტერიტორიალურ კომისიის დილის სხდომაზე ხელახლა წამოყენებულ იქნა საკითხი აღმოსავლეთ თრაკიის შესახებ. ბოლგარიის პრემიერმა სტამბოლიისკი შემოიტანა თრაკიისთვის ავტონომიის მიცემის შესახებ და განაცხადა, რომ ინგლისი, საფრანგეთი და იტალია თრაკიაში პლებისციტის მოხდენის წინააღმდეგნი არიან.

## უცხოეთი

**„ფრეიხეიტ" ესარჩლება საბჭოთა რუსეთს.**

**ბერლინი.** „როტე ფანე"-ს მოჰყავს რა „ფრეიხეიტის" წერილი გაკვირ-

ვებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ „ფრეიხეიტი", რომელსაც დამშვიდებით არ შეეძლო ელაპარაკნა საბჭოთა რუსეთის შესახებ, ათავსებს თავის ფურცლებზე სტოკჰოლმის გაზეთ „დაგენერ-ნირეტერში" დაბეჭდილ წერილს, სადაც მარტივად და მშვიდობიანად აწერილია რუსეთის ცხოვრება. კორესპონდენტი სხვათა შორის სწერს: „პეტროგრადში ჩასვლის მეორე დღეს მე გავემგზავრე კუნძულებზე არისტოკრატიულ სახლების დასათვალიერებლად. ამ ჟამად მხოლოდ ზოგიერთში სცხოვრობს ყოფილი მესაკუთრე, ამ სახლების უმრავლესობა მთავრობის განკარგულებაშია და იქ მოთავსებული ბავშთა. სახლები ან მუშათა და მოსამსახურეთა ბინები. შევდივარ ერთ ასეთ სახლში, სამზარეულოში მზადდება სადილი, ხორცი, კართოფილი, ვაშლის კომპოტი. ყველგან სამაგალითო სიწმინდე და წესრიგია. გამგეს მივყევარ სასადილო ოთახში: მე გაოცებული ვარ სიმშვიდით და წესრიგით. „დასვენების სახლები" შესაძლებელია დასასვენი ადგილი. შემდეგ კორესპონდენტი ასწერს პეტერგოფში საბავშო სახლის დათვალიერებას იგი გაოცებულია სიწმინდით და წესრიგით, ბავშვების მხიარულებით, რომელნიც ეხმარებიან მეურნეობაში და უვლიან შინაურ საქონელს. ყველა დიდ აგარაკებში პეტროგრადის მახლობლად მოთავსებულია საბავშო სახლები.

**კანცლერი კუნო.**

**ლიონი.** ნოემბ. 23. პრეზიდენტ ებერტის დეკრეტით კუნო გერმანიის კანცლერად დაინიშნა.

**კუნოს კაბინეტი.**

**მანჰეიმი.** ნოემბ. 23. ახალ კაბინეტში ჯერ-ჯერობით არ არის დაკავებული გარეშე და შინაგან საქმეთა მინისტრების ადგილები. ძველი კაბინეტიდან ახალ კაბინეტში დარჩნენ ფინანსთა მინისტრი გერმესი, რაიხსვერის მინისტრი —გესლერი, გზათა მინისტრი—გრენერი და შრომის მინისტრი ბრაუნი. იუსტიციის მინისტრად დაინიშნა გეინცე, რომელსაც იგივე თანამდებობა ეჭირა ფერენბახის კაბინეტში. რეიხსკანცლერის კანცელარიის ყოფილი დირექტორი ალბერტი დაინიშნა (გამოტოვებულია) მინისტრად სასურსათო მინისტრად დაინიშნა ბონი, ახალი კანცლერის კანცელარიის დირექტორად ბავარიის ვენის ყოფილი მინისტრი გამმი.

**ახალი კანცლერის დეკლარაცია.**

**მანჰეიმი.** ნოემბ. 23. დღეს კანცლერი წაიკითხავს თავის დეკლარაციას.

**პრესის გამოძახილი.**

**მანჰეიმი.** ნოემბ. 23. გაზ. „ფორვერტსი" აცხადებს, რომ ვინაიდან სოციალ-დემოკრატები არ შედიან ახალ კაბინეტში, გაზეთს აღარ აღარ სჭირს აწარმოვოს თვალ-ახვეული პოლიტიკა და გადადის ოპოზიციაში. გაზეთის აზრით, წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ სასურსათო მინისტრის ბონის, იუსტიციის მინისტრის გეინცეს და ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრის ბეკკერის პოლიტიკა იქნება ოპოზიციონერი სოციალ დემოკრატიისადმი.

— გაზ. „ფოსიშე ცეიტუნგი" ამტკიცებს, განზრახული იყო რომ კაბინეტი ჩამოყალიბდა პოლიტიკური მემარჯვენ მიმართულების კაბინეტის ფორმაში.

**კაბინეტი ხანმოკლეა.**

**ბორდო.** 23 ნოემბ. ბერლინში საერთო აზრი ისეთია, რომ კუნოს კაბინეტის არსებობა ხანმოკლე იქნება.

**დემონსტრაციების აკრძალვა.**

**მანჰეიმი.** 23 ნოემბ. ბერლინის პოლიციის უფროსმა, დრეზდენიდან და ბრაუნშვეიგიდან მიღებულ ცნობების გამო, აკრძალა ყოველგვარი დემონსტრაციები.

**არეულობა დრეზდენში.**

**ლიონი.** 23 ნოემბ. დრეზდენში არეულობაა. უკმაყოფილები ბევრია. დაპატიმრებულია 56 კაცი.

# რ უ ს ე თ ი

**განათლების მუშაკთა სრულიად რუსეთის ყრილობა.**

**მოსკოვი.** 23 ნოემბ. გაიხსნა განათლების მუშაკთა სრულიად რუსეთის ყრილობა. რადეკის მოხსენების შემდეგ ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც მოუწოდებს განათლების მუშაკებს ძალთა უდიდეს დაძაბვისაკენ გამარჯვების მისაღწევად კულტურის ფრონტზე.

**ვლადივოსტოკში.**

**ხარკოვი.** 22 ნოემბ. ვლადივოსტოკში გაიმართა მასსიური მიტინგები შორეულ-აღმოსავლეთის რესპუბლიკის რ. ს. ფ. რ. შეერთების გამო. გაეგზავნა მისალმებანი სრ. რუს. ცენტრ. აღმ. კომიტეტს, შორეულ აღმოსავლეთის რევკომს, ლენინს, ტროცკის, და წითელ არმიას

**რუსეთი და პოლონეთი ინციდენტის შესახებ.**

**ხარკოვი.** 22 ნოემბ. ვარშავის გაზეთების ცნობით, დიპლომატიური ინცინდენტი რუსეთსა და პოლონეთს შორის, რომელმაც გამოიწვია რუსეთის წარმომადგენლის პოლონეთში ობოლენსკის მიერ ვარშავის დატოვება და პოლონეთის წარმომადგენლის კნოლის მიერ მოსკოვის დატოვება, ამოწურულად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ ვიდრე—უზრუნველყოფამდე, როდესაც ობოლენსკი იქნება (გამოტოვებულია)... პილსუდსკის მიერ როგორც ელჩი, ინციდენტი არ შეიძლება ამოწურულად ჩაითვალოს.

# ახალი ამბები

— **ქალაქ ტფილისის აღწერის საქმის მიმდინარეობა:** აღმწერლების შტატი შევსებულია. შტატის რაიონების მიხედვით განაწილება დასრულდა 22 ნოემბერს. ამ ჟამად სწარმოებს აღწერის ხელმძღვანელთა და სააღმწერო რაინებთა და აღმწერლების ინსტრუქციებთან გაცნობა. სქემატიური გეგმები სააღმწერო საკონტროლო რაიონების უკვე დამზადებულია. ყველა აღწერაში მონაწილეს მიეცემა გეგმა იმ უბნის, სადაც ის გაიგზავნება სამუშაოთ. ყველა საჭირო სააღწერო ბლანკები დაბეჭდილია, განაწილებულია და ურიგდება სათანადო რაიონებს. ყველა სააღწერო რაიონებში სააღმწერო სარაიონო ბიუროებს მიკუთვნილი აქვს შენობა. ბიუროებში დადგმულია ტელეფონები. სააღმწერო ბიუროებში სწარმოებს გაცხარებული მუშაობა აღმწერლების ინსტრუქციებთან გასაცნობად. 22 ნოემბერს დილის 10 საათზე სახალხო სახლში, ქალაქის სააღმწერო ბიუროს თავმჯდომარის ამ. რუხაძის თავმჯდომარეობით შედგა ყველა აღწერაში მონაწილეთა კრება, შეიკრიბა 1000 კაცამდე. მოხსენება აღწერის მნიშვნელობის შესახებ წაიკითხა ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს მმართველმა გ. მ. გრიგორიანმა.

— **კურსები მასწავლებელთათვის.** ა. წ. 1 დეკემბრიდან განათლების მუშაკთა სახლთან ეწყობა შრომის სკოლის მასწავლებელთათვის კურსები საქართველოს ფიზიკური და ეკონომიური გეოგრაფიის შესასწავლათ. ლექტორებად მოწვეულნი არიან პროფ. გეხტმანი და ლაისტერი.

მეცადინეობა საღამოობით 5 დან 7 საათამდე. ჩაწერა: ყოველ დღე დილის 12—1 საათამდე. გ. მ. სახლის მდივანთან.

— **განათლების მუშაკთა სახლში.** 27 ნოემბერს საღამოს 6 ს. განათლების მუშაკთა სახლში (კოლეჯის ქ. № 3) ამხ. ნიკოლაძე—პოლიტექნიკოსი წაიკითხავს მოხსენებას თემაზე: ანბანის სწავლა მონტესორის სისტემით.

**სახალხო კომისართა საბჭოში**

**ვოლგის ნაპირების ბავშვთა შენახვის კრედიტის გახსნა** განათლების სახალხო კომისარიატის შუამდგომლობისამებრ სახალხო კომისართა საბჭომ გახსნა მის განკარგულებაში ვოლგის ნაპირების ბავშვთა შესანახათ ერთი მილიარდი (1 000,000,000 მ.) მან. კრედიტი, განათლების სახალხო კომისარიატს მიეცემა ყოველ კვირეულად ორმოცი მილიონი (40,000,000) მან.

— **ქალაქ გორიდან სამშენებლო მასალის გამოზიდვის აკრძალვა.** იმის გამო, რომ ზოგიერთ კერძო პირებს ქალაქ გორიდან და მის რაიონებიდან გამოაქვთ სამშენებლო მასალები, მიუხედავათ იმისა, რომ უკანასკნელი აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს დანგრეულ ქალაქის აღსადგენად, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მოხსენებისამებრ სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა აკრძალულ იქნეს ყოველგვარი სამშენებლო მასალების გამოზიდვა ქალაქ გორიდან და მის რაიონებიდან გორის სამაზრო აღმასკომის ნებადაურთველად.

— **ფინანსთა სახალხო კომისარიატის შტატების გადიდება.** ფინანსთა სახალხო კომისარიატის შუამდგომლობის გამო სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა გადიდებულ იქნეს ფინანსთა სახალხო კომისარიატის შემდეგ დაწესებულებათა შტატები: პირდაპირ გადასახადთა განყოფილების—სამი თანამდებობით, სარაიონო საგადასახადო განყოფილების—სამი თანამდებობით და მაზრის სარაიონო საგადასახადო განყოფილების—ორი თანამდებობით.

— **სამხედრო კოოპერატივის განთავისუფლება.** სახალხო კომისართა საბჭომ დააკმაყოფილა საქართველოს მთლიანი სამხედრო კოოპერატივის შუამდგომლობა უკანასკნელის სასამართლოს ბაჟისა და სხვა გადასახადებისაგან მუშათა მთლიანი კოოპერატივის თანაბრად განთავისუფლების შესახებ.

— **შუამდგომლობათა განხილვა.** ფინანსთა სახალხო კომისარიატის მოხსენებისამებრ წყალობის სახელით დაზარალებულთა შუამდგომლობების განხილვის შესახებ მათი გადასახადებისაგან განთავისუფლების თაობაზე, სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა დადგენილის აღნიშნულ შუამდგომლობათა განხილვა არიგეულ საგადასახადო კომისიებს.

— **სატელეგრაფო ქსელის გადაცემა** ქალაქ ბორჯომის სატელეგრაფო ქსელის ექსპლოატაციის შესახებ, სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა აღნიშნული სატელეგრაფო ქსელი ჩამოერთვას ბორჯომის აღმასკომს და გადაეცეს იგი ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატს.

— **ცენტრალურ აღმასკომში.** სრულიად საქართველოს აღმასკომის პრეზიდიუმის მიერ უკანასკნელ სხდომაზე დამტკიცებულია პროექტი დებულებისა —სათემო და სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტების ორგანიზაციის შესახებ, რომლის ძალითაც თემის ფარგალში სათემო აღმასკომი არის ადგილობრივი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, ხოლო მაზრის ფარგლებში სამაზრო აღმასკომი. სათემო აღმასკომს სამი პირის შემადგენლობითირჩევს თემის საბჭო ერთი წლის ვადით, სამაზრო აღმასკომს კი—სამაზრო ყრილობა. სამაზრო აღმასკომის წევრთა რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს 13 კაცს. როგორც სათემო, ისე სამაზრო აღმასკომებს უფლება აქვთ დამოუკიდებლად გადაწყვიტონ ადგილობრივი ხასიათის საკითხები, ხოლო იმ პირობით, რომ იგი არ ეწინააღმდეგებოდეს რესპუბლიკის ძირითად კანონებს. სათემო აღმასკომის მთავარი მოვალეობაა გამოარკვიოს მის ხელქვეით ორგანოების მოღვაწეობისა და ხელმძღვანელობის გაწევაში. სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი უშუალოდ ექვემდებარება სრულიად საქართველოს აღმასკომის პრეზიდიუმს და სახალხო კომისართა საბჭოს. იგი პასუხისმგებელია მათ წინაშე არა მარტო თავისი მოღვაწეობისა, არამედ იმ სათემო აღმასკომების მთელი მოქმედებისათვის, რომელნიც იმყოფებიან მაზრის ტერიტორიაზე. მაზრის აღმასკომის მუშაობის სათანადო დონეზე დაყენების მიზნით მასთანვე არსდება შემდეგი განყოფილებანი: სამმართველო, სამხედრო, საფინანსო, მიწის საკითხების გამრჩევი განყოფილება, კომუნალური, სახალხო განათლების, და ჯანმრთელობის განყოფილება. როგორც აღმასკომი, ისე მისი განყოფილებანი ვალდებული არიან შეასრულონ ცენტრალური აღმასკომის, სახალხო კომისართა საბჭოსა და ქვემდებარეობისამებრ სახალხო კომისრების განკარგულებანი. ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც აღმასრულებელი კომიტეტი ამ განკარგულებათა შესრულებას იცნობს მიზანშეუწონლად, იგი განკარგულების შესრულების შეჩერებულად შუამდგომლობით შედის ცენტრალური აღმასკომის პრეზიდიუმში, სახალხო კომისართა საბჭოში ან სათანადო სახალხო კომისარიატებში, განკარგულების გაუქმების შესახებ თავისი მოსაზრებათა წარდგენით. სამაზრო აღმასკომი ვალდებულია წარუდგინოს ცენტრალური აღმასკომს და სახალხო კომისართა საბჭოს კომიტეტის მუშაობის ანგარიში ყოველ სამ თვეში შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მეშვეობით. აქვეა საერთოდ სათემო და სამაზრო აღმასკომების ორგანიზაციის კონსტრუქცია.

— ამხ. კამოს საბავშვო სახლის ფონდის გასაძლიერებლად ქალაქის აღმასკომის სალაროში შემოვიდა შემდეგი შემოწირულება:

18 ნოემბ. 1922 წლ. საქსოვ ქარხნის, საპნის და ზეთის ტრესტის მუშა-მოსამსახურეებისაგან 12 მილიონი 252 ათასი მანეთი, სულ 12.252.000 მ.

— ამხანაგ კამოს ბავშვთა სახლის ფონდის გასაძლიერებლად ქალაქის აღსაკომის სალაროში შემოვიდა შემდეგი შემოწირულება:

17 ნოემბ. 1922 წ. ამიერ კავკასიის რაიკომის რუსეთის კომუნისტურ ახალგაზრდათა კავშირის თანამშრომელთაგან 995,000 მან. სულ 995.000 მან.

## პროვინციის ცხოვრება

**ახალციხე.** მიწის რეფორმის გატარებამ არ დასრულებულა. ჯერ კიდევ სწარმოებს ჩამორთმეულ მიწების ფონდში გადარიცხვა. საშუალოდ კომლზე მოდის 3 დესეტინა ნახევარი მიწა. მაზრაში მცხოვრებთა სიხშირეა, რის გამო შესაძლებელია მიწის სიმცირეს ექნეს ადგილი გადანაწილების დროს.

გლეხები იჩენენ თვითმოქმედებას. გაიყვანეს მოსარწყავი არხი სიგრძით 8 ვერსი სოფ. ურის მცხოვრებლებმა. მორწყვის საჭიროება მაზრაში დიდია, მაგრამ დღემდე მას სათანადო ყურადღება არ ექცეოდა. ადგილობრივმა აღმასკომმა უკვე დაარსა სამელიორაციო განყოფილება, რომელიც ყოველ მერივ დახმარებას გაუწევს გლეხების ინიციატივას.

ახალციხეში არის ორი კოოპერატივი, ერთი „მუშათა კოოპერატივი" და მეორე სამოქალაქო კოოპერატივი „მესხეთი". ორივე კოოპერატივი საგრძნობლად აწარმოებს თავის ოპერაციებს და დახმარებას უწევს საზოგადოების ღარიბ ნაწილს.

**ქუთაისი.** მენშევიკების დროს რკინის გზის [illegible] დღეს დღეს მუშაობს ფართოდ ზღვა ბა ორთქლმავლების [illegible].

**ბათომი.** აჭარის სახ. კომისართა საბჭომ მოისმინა მოხსენება ბინების კრიზისის შესახებ წითელ არმიელებისათვის და დაადგინა შეკეთებულ იქნეს არდაგნის ყაზარმები, რის ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა მიენდო კომუნალურ მეურნეობას.

## სამხატვრო ქრონიკა

**სახელმწიფო ოპერა.** დღეს 24 ნოემბერს დოდონაძის მონაწილეობით „აიდა".

ორშაბათს დირიჟორი ვ. ფ. მიზანდარის დიდი სპექტაკლი, მიდის „კარმენი" მონაწილეობს მთელი დასი. თითეულ მოქმედებაში ახალი შემადგენლობა. მე-4 მოქმედებაში დიდი ბალეტის დივერტისმენტი.

## პარტიაში

**არჩილ ჯორჯაძის სახელობის პოლიტიკური წრე".** კვირას, 26 ნოემბერს, დილის 10 საათზე მემ. სოც.-ფედ. პარტიის ცენტრალურ კლუბში შესდგება მორიგი მოხსენება. მოხსენებას წაიკითხავს ამხ. გ. გამყრელიძე შემდეგ თემაზე „სოციალური უტოპიები". (მოხსენება გასულ კვირას არ შესდგა გ. დეკანოზიშვილის პანაშვიდის გადახდის გამო). დასწრება შეუძლია ახალგაზრდათა ორგანიზაციის წევრებს და თანამგრძნობთ.

**წრის გამგეობა.**

—

დღეს, ნოემბრის 24-ს შუადღის 2 საათზე რედაქციაში დანიშნულია სარედაქციო კოლეგიის სხდომა. ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

# ზ ო გ ი რ ა მ

**ა. სურამის ციხე.**

მიქელ თამარაშვილის ქართველთა შორის კათოლიკობის ისტორია ცხადჰყოფს, რომ მეჩვიდმეტე საუკუნეში ტფილისში საეკლესიო ბოლდნები იყო, სადაც სწარმოებდა ტყვე ქალ ვაჟთა აღებ-მიცემა. შარდენიც, იმ დროის ფრანგის მოგზაური, ამოწმებს მონების გაყიდვის ამბავსა.

იმავ მეჩვიდმეტე საუკუნეში ოცდაათი ათასი ოსმალოს ჯარი შემოესია ქართლსა. ცხირეთთან მოჰკლა სამინელი ომი, სადაც თავი ისახელეს დიდ მოურავმა გიორგი სააკაძემ, რომელმაც სამაგალითოდ გაიმარჯვა ოსმალებზე, თევდორე მღვდელმა, რომელმაც ოსმალები ვითომ გზის საჩვენებლად შეიტყუა სხერტის ჭალაში, რისთვისაც წამებობის გვირგვინი დაიდგა, და გარეჯი სომხის მღვდელმა ტერსაკამ, რომელმაც დროზე აცნობა ხალხს ოსმალების გორისკენ წამოსვლა და ხიდი დააყენეს.

აი როგორია ქართველთ ცხოვრების სინამდვილე მეჩვიდმეტე საუკუნეში. მაგრამ დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხე", რომელიც იმავ მეჩვიდმეტე საუკუნეს ეკუთვნის, ისტორიული მოთხრობა არის და არა ისტორია, ამის გამო ზოგი რამ იქ შეტანილი არის ანაქრონიზმი, ე. ი. ისეთი, რაც იმ დროს არ მომხდარა. ასეთია მაგალითად ყმაწვილის მსხვერპლად შეწირვა. საერთოდ ასეთი ჩვეულება ძველად ებრაელებს ჰქონდათ, ქართველებს აკრეთვე სცოდნიათ ყმაწვილის ჩაკირვა ციხის საძირკველში, სხვა ხალხთ კიდევ როგორც მაგ. სლავიანებს და ჩინელებს ხიდის ბურჯის ძირში. ეს იყო სარწმუნოება და სჩადიოდნენ იმედით, რომ ღმერთი მათი მწყალობელი ყოფილიყო. დიდი საქმეებიც იმ ძველის ძველ დროს კეთდებოდა თანახმად ღვთის ნებისა, რომელსაც ურიასტანში ცხად ჰყოფდა მღვდელმთავარი, ხოლო საბერძნეთში ქადაგი (ორაკული). სურამის ციხის კედლის ძირში ზურაბის ჩაკირვის ამბავი ავტორს შეუტანია თავის მოთხრობაში იმისთვის, რომ დაეფარა თავის დროინდელი ბატონების ცხეცობა, რომელიც იმავ მეხნით მ ჩვიდმეტე საუკუნის ცხოვრების სურათად მოუქცევია. მაგრამ ამაოდ, ავტორი მაინც ვერ ასცდა ბატონებისაგან დევნასა.

ჩვიდმეტე საუკუნეში მაჭულის დაცვის დიადმა არძნობამ აღაფრთოვანა მაშინდელი საზოგადოება წოდების და სარწმუნოების განურჩევლად, სურამის ციხემაც გამაგრა ქართველობა ოსმალთა წინააღმდეგ საომრად, მაგრამ რა საფუძვლიანი, ასეთი ამბავი მომხდარიყოს ზურაბის ჩაკირვის შემდეგ მკითხავის რჩევით და ქრისტიანე სამღვდელოების ლოცვანით.

არა. ზურაბის ჩაკირვა უფრო ძველია, ვიდრე მეჩვიდმეტე საუკუნე, ვიდრე თვით ქრისტიანობა საქართველოში.

**ბ. ფორმის თაყვანისცემა.**

ალექსანდრე მესამის გამეფებამდე რუსეთის უნივერსიტეტის სტუდენტებს ფორმის ტანისამოსი არ სცმიათ, ამ დიდმა რეაქციონერმა ამა სოფლის ძლიერთა მამად, ხოლო მაშვრალთათვის მამინაცვლად მოვლინებულმა მრავალი ღონე იხმარა ურჩი ელემენტებას ასალაგმად, ერთი ასეთი ღონე იყო ფორმის ტანისამოსის დაწესება სტუდენტებისათვის; ასე რომ სტუდენტი მოვალე იყო უნივერსიტეტში და მის გარეთ ფორმის ტანისამოსი სცმოდა, ხოლო დღესასწაულებში შესაფერ საპარადო მუნდირში გამოწყობილიყო. კარიერისტი სტუდენტობა დაეწაფა ფორმას, როგორც ირემი წყაროსა, დანარჩენი სტუდენტობა კი ისე ბეჯითად არ ასრულებდა ბრძანებას. მაგრამ ერთი რამ ყველამ შეიტყო კარიერისტმაც, არა კარიერიერიერისტებმაც. ის იყო ფორმის ქუდი. ყველას დაავიწყდა, რომ სტუდენტის ფორმა ალექსანდრე მესამემ შემოიღო უფრო თავისი ქანდარმების დამცველ ხანის აგენტებისათვის, რომ სტუდენტობა ადვილ საცნობი და ხელში ადვილ ჩასაგდები ყოფილიყო.

საქართველოს პროლეტარიატმა, როგორც რუსეთის რევოლიუციის უშუალო მონაწილემ, დიდი მსხვერპლის გაღებით მოიპოვა უფლება თავის დედაქალაქში მშობლიური ქართული უნივერსიტეტის დაარსებისა, ჩვენ გვეგონა, ქართველი სტუდენტობა უფრო შეგნებულად შეხვდებოდა განახლებულ ცხოვრებას და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამუდამოდ უარ ჰყოფდა ძველი რეჟიმის რეაქციონურ ნაშთებს, მაგრამ დღე ვანდელი სინამდვილე სულ სხვას ჰლაპარაკობს. ისე მეჯლისზედ, როგორც ქართველი სტუდენტობა, ფორმის ქუდის ხმარება რუსეთშიაც არ მისდევენ. ქართველი სტუდენტი რაც უნდა ღარიბი იყოს, გადაგება ქონებისაგან და ფორმის ქუდს მაინც დაიკოსებს თავზე.

აი სად უნდა ითქვას ნონ ფომა, სეჲ ფიგურა.

პეტრე მარიამიშვილი.

# ჩვენი სკოლა

## ტეხნიკუმების შეკეთება და გადაჯგუფება

თანახმად სახალხო განათლების კომისარიატის პროფესიონალურ განათლების მთავარ-მართველობის განკარგულებისა მოხდა ტფილისში და პროვინციებში ტეხნიკუმების გადაჯგუფება-შეერთების შემდეგ ტფილისში დამტკიცებულ იქნა მცირე შინა რეორგანიზაციით შემდეგი ტეხნიკუმები:

პირველი, მეორე და მესამე ტეხნიკუმები—ჰუმანიტარული—მეოთხე, რომელსაც შეუერთდა ძველი მეშვიდე—ქიმიური, მეხუთე ინდუსტრიალური ტეხნიკუმი, მეექვსე სასოფლო-სამეურნეო, მეშვიდე და მერვე ჰუმანიტარული; მეცხრე, რომელსაც შეუერთდა ძველი მე-15 ჰუმანიტარული,—მეათე პედაგოგიური; მეთერთმეტე, რომელსაც შეუერთდა მე-13 ჰუმანიტარული, მეთორმეტე ჰუმანიტარული, მეცამეტე, რომელსაც შეუერთდა ძველი 23 და 24 ტეხნიკ. ჰუმანიტარული, მეთოთხმეტე, რომელსაც შეუერთდა ძველი 25 ტეხ. ჰუმანიტარული, მეთხუთმეტე, რომელსაც შეუერთდა ძველი 26 ტეხ. ჰუმანიტარული, მეთექვსმეტე და მეჩვიდმეტე ჰუმანიტარული, მეთვრამეტე, რომელსაც შეუერთდა ძველი 21 და 22 ჰუმანიტარული, მეცხრამეტე და მეოცე ჰუმანიტარული, ოცდამეერთე ჰუმანიტარული გერმანული, ოცდამეორე ჰუმანიტარული ებრაელების, ოცდამესამე ჰუმანიტარული ფრანგული, ოცდამეოთხე ტეხნიკუმი დახურა.

—

## ტეხნიკუმების მდგომარეობა პროვინციაში.

პროვინციაში მოხდა შეჯგუფება თანახმად განკარგულებისა აღმოსავლეთ განათლების დანყოფ. ხელმძღვ ნელობით გადაჯგუფების შემდეგ დარჩა სულ ტფილისის გარდა პროვინციებში 28 ტეხნ კუმი. მათ შორის.

| ქ. სახელწ. | —გადაჯ. | და გადაჯგ. შემ |
|---|---|---|
| 1) ქუთაისში | 8 | 5 |
| 2) სამტრედიაში<br>3) ხონში | 3 | 3 |
| 4) ზუგდიდში | 2 | 1 |
| 5) სენაკში | 3 | 2 |
| 6) ბაზაში | 1 | 1 |
| 7) მარტვილში | 1 | 1 |
| 8) ოზურგეთში | 3 | 1 |
| 9) ლანჩხუთში | 3 | 1 |
| 10) ჩოხატაურში | 1 | 1 |
| 11) ზესტაფონში | 2 | 1 |
| 12) ჭიათურაში | 1 | 1 |
| 13) ცაგერში (ლაილ. დ ჭყიბ. 2) | 1 | |
| 14) ონში | 1 | 1 |
| 15) ფოთში | 2 | 1 |
| 16) გორში | 3 | 2 |
| 17) ხაშურ. დ სურამ. | 3 | 1 (ხაშ.) |
| 18) თელავში | 2 | 2 |
| 19) სიღნაღში | 1 | 1 |
| 20) ბოდბეში | 1 | 1 |
| 21) თიანეთში | 1 | არ არის |
| 22) ცხინვალში | 1 | არ არის |

# ეკონომიური ცხოვრება

## ქალაქ ტფილისის კომუნალური მეურნეობა.

(1922 წლის პირველ 9 თვის განმავლობაში).

ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ სრულიად გადატრიალა სახელმწიფო ცხოვრების ყველა მხარე, უფრო კი დიდი ცვლილებანი შეიტანა კომუნალურ მეურნეობაში, რომელიც მართალი, რომ ვსთქვათ უკვე გამოდის თავის წინანდელ კრიტიულ მდგომარეობიდან და აწ შენდება ახალ პირობების მიხედვით.

გათვალისწინება კომუნალურ მეურნეობის სამუშაოების და გაძლიერების ტემპებისა, აღნიშვნა ყველა იმისი ნაკლულევანებისა და შეცდომებისა, მოდება თავის დროზე ზომებისა მის გასაძლიერებლად შეადგენს პირველ რიგის ამოცანას. სამწუხაროდ, ჩვენში კომუნალურ მეურნეობის საკითხებს არ ეძლევა ჯეროვანი ყურადღება არც პრესაში და არც საზოგადოებაში.

ეს დეფექტი უსათუოთ უნდა გამოსწორდეს. მცხოვრებთ უნდა იცოდნენ თუ როგორ მიმდინარეობს კომუნალურ მეურნეობის ცხოვრება რა გაჭირვებებს განიცდის იგი და სხვა.

საჭიროა იბეჭდებოდეს კომუნალურ მეურნეობის ვრცელი ანგარიშები და მათი გამოქვეყნება მცხოვრებთა საყურადღებოდ.

რადგან ძნელია კომუნალურ მეურნეობის განვითარება ფართო მასსის დაუხმარებლად ამ მიზნით ჩვენ საჭიროთ ვცნობთ სდგებოდეს და ვრცელდებოდეს გასაგებ ენაზე მოკლე ანგარიშები ქ. ტფილისის კომუნალურ მეურნეობის მოქმედებაზე და მის მიღწევებზე.

დავიწყოთ ტრამვაიდგან, რადგანაც ამ უკანასკნელს უჭირავს უპირველესი ადგილი ქალაქის მეურნეობაში.

### 1. ტრამვაი.

პირველ იანვრიდან 1922 წ. დაწყობილი ტრამვაის პასაჟირების რიცხვი თან და თან ყოველთვიურად მატულობს.

იანვარში ტრამვაის გადაუზიდავს 736 357 კაცი. თებერვალში 381,732 კ. მარტში 359,401 კ. აპრილში 764,708 კ. მაისში 846,762 კ. ივნისში 946,195 კ. ივლისში 1,063,334 კ. აგვისტ. 1,090830 სექტემბერში 1.174,349 კ.

ამ რიგად ეხკვნისთვეში ტრამვაის ტვირთმზიდველობა მატულობს შედარებით იანვრის თვესთან 59,5 პროცენტით.

პასაჟირების რიცხვის დაკლება ცოტათი ეტყობა თებერვალში და მარტში, რაიც აიხსნება ტრამვაის ტარიფის მომატებით იმ ხ ნაში და კიდევ ქართული ბონების კურსის სწრაფ დაცემით, ხოლო მარტიდან კი მდგომარეობა ისევ უკეთესდება და ტრამვაის ტვირთმზიდველობა თან და თან მატულობს.

დღიური მუშაობა ტრამვაის ვაგონების მიხედვით ამ მ მაინარე 9 თვეში გამოიხატება შემდეგში:

| რიცხვი გამოშ. დღეებისა: | | | |
|---|---|---|---|
| თ ვ ე. | მოტორიანის. | მისაბმელები. | ს უ ლ. |
| იანვარი. | 824 | 12 | 836 |
| თებერვალი | 672 | — | 672 |
| მარტი | 794 | — | 794 |
| აპრილი | 900 | 14 | 914 |
| მაისი | 845 | 133 | 978 |
| ივნისი | 824 | 184 | 1012 |
| ივლისი | 843 | 192 | 1035 |
| აგვისტო | 837 | 313 | 1150 |
| სექტემბერი | 808 | 293 | 1101 |

ამ რიგად რიცხვი ვაგონ დღეებისა ს ზოგადოთ მატულობს, მაგალითად: სექტემბერში საერთო რიცხვი ვაგონდღეებისა აღემატება იანვრისას 31,7-პროც.

საერთო შემოსავალი (სალარიოსი) ტრამვაისა ამ 9 თვის განმავლობაში ყოფილა 51,001773 000 მან. გასავალი კი—42,214,822,000 მ. ნ.

ამ ფულიდან პირდაპ შემადგენლობაზე დახარჯულია 20,041,391,000 მან. რაიც შეადგენს 47,5 პროც. მთელი ხარჯებისას.

### 2. წყალსადენი:

აღნიშნულ 9 თვეში წყლის დებეტი ავჭალის წყალსადენისა უდრის 339,789,335 ვედრ. ამ რიცხვიდან ქ. ტფილისზე ნაანგარიშევია მარტო 192,047,737 ვედრა.

თუ ამას მ უმატებთ 68,715,000 ვედ. წყალს რაიც დახარჯულა თვით ავჭალის წყალსადენიდან და იმას, რაიც იხარჯება უფასო კრანებზე მაშინ წყლის დაღვრა საერთოდ უდრის მთელი წყლის დებეტის 23,2 პროც. წყლის დაღვრა დაქცევა უმთავრესად აიხსნება წყლის საზომების შეუსწორებლობით.

მაგრამ ამ მხრივ თუ შევადარებთ ტფილისს სხვა ქალაქებს, მაშინ აღმოჩნდება, რომ წყალსადენის საქმე ტფილისში უფრო კარგად არის დაყენებული მინამ, მაგალითად მოსკოვში, სადაც ტეხნიკური დაღვრა წყლისა უდრის თითქმის 50 პროც. წყლის საზოგადო დებეტისა.

| ამ რიცხვიდან გაცემულია წყალი: | | |
|---|---|---|
| კერძო პირებზე | 89,539,558 წყალი, ან | 46,6 პროც. |
| სამხედრო დაწესებულ. | 36,215,248 „ | 18,9 პროც. |
| ქალაქ. „ „ | 28,765,672 „ | 14,9 „ |
| სავაჭრო სამეურნეო დაწ. | 15,639,946 „ | 8,1 „ |
| საბჭოთა სახლებზე | 7,855,114 „ | 4,2 „ |
| საბჭოთა დაწესებულებებზე | 14 032,199 „ | 7,3 „ |
| ს უ ლ | 192,047,937 „ | 100 პროც. |

როგორც აქედან სჩანს, კერძო პირები ხმარობენ მთელი გაცემული წყლის თითქმის ნახევარს, ამათ მოსდევენ სამხედრო დაწესებულებანი და სხვა.

მთელი ის რაოდენობა წყლისა, რაიცა არის აღრიცხული წყალსადენის მიერ, რომ ყოფილიყო განაღდებული ფულით, მაშინ წყალსადენს უნდა მიეღო 57,614,320,000 მ ნ. ფაქტიურად კი მას მიუღია—16,256,126,000 მ. ნ.

ფულის თავის დროზე შეუტანლობის გამო, უფრო კი სამხედრო და სახელმწიფო დაწესებულებების მიერ, წყალსადენს არ შეუძლიან დაფაროს ყველა თავისი ხარჯები და გააუმჯობესოს წყლის მოწოდების საქმე.

### 3. ელექტრონის სადგურის მმართველობა.

ელექტრონის სადგურის წარმოების ბრუნვი მეტად ... აქ არის აწევაც და დაწევაც გაცემულ ენერგიის რიცხვისა. ეს აიხსნება სინათლის მალ-მალე შეწყვეტით იმ პირთათვის, რომელთაც არა აქვთ გადახდილი ხვედრი ფასი ენერგიისა.

ამ რიგად იყო გაცემული ენერგია კილოუატ-საათებით:

| თვეში | ელექტრონის ლამპებით. | ანგარიშით (ხნეფ) | ს უ ლ. |
|---|---|---|---|
| იანვარი | 53,725 | 105,648 | 159 373 |
| თებერვალი | 55,029 | 93,013 | 148,042 |
| მარტი | 54.165 | 82,780 | 136,945 |
| აპრილი | 43,196 | 68,012 | 111,208 |
| მაისი | 212,761 | 57,066 | 269,827 |
| ივნისი | 174,512 | 49,210 | 223,722 |
| ივლისი | 159,468 | 41,751 | 202,219 |
| აგვისტო | 142,362 | 54,789 | 197,151 |

ფაქტიური შემოსავალი ელექტრონის სადგურებისა აღნიშნულ 8 თვის განმავლობაში უდრის 8.184 მილ. გასავალი-ხარჯი კი 15,747 მილიონს დეფიციტი იფარებოდა ალმასკომის სალაროს ყოველდღიური დოტაციით. დეფიციტი შესდგა უმთავრესად ფასის თავის დროზე შეუტანლობის გამო, ბევრ საბჭოთა და სამხედრო დაწესებულებათა მიერ.

შრატის შესანახი ხარჯი უდრის 6,377 მილ. რაც შეადგენს 40,5 პროც. მთელი ხარჯის თანხისას.

(დასასრული იქნება)

ა. რ.



# დიდი არტისტის ხსოვნას

დღეს, ნოემბრის 24-ს, სრული 2 წელიწადი შესრულდა, რაც დაითალხა ქართული სცენის კრეტსამბელი მისი ზეგარდმო ნიჭით ცხებულის, ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილის გარდაცვალებით. და არამც თუ 2 წელიწადი, კიდევ მრავალი წლები გაივლის, ვიდრე მელპომენის ტაძარი კვლავ აღაგზნებს კოცონს, განცდათა ტრაპეზისას, და ვნებათ რაზმებში მებრძოლ გენიოს ლოცვით' დასწვავს ჩვენს სულსა და გულს...

დღემდისაც, ამავ ტაძარს, ჯერ არ ახსოვს თვის არსებობის ისტორიაში, არტისტი, უდიადესი ლადო მესხიშვილისაზე და მის უკვდავ როლების აღმსრულებლად ბადალი არამც თუ ქართულ, რუსულ სცენასაც კი არ ჰყოლია.

აი, ამიტომ ფიგურა ლადო მესხიშვილისა ასე ცნობილია როგორც ჩვენში, ისე დიდ რუსეთშიაც.

სავალალო მხოლოდ ისაა, რომ ჩვენისთანა პატარა ერისთვის, ასეთი აუნაზღაურებელი დანაკარგი მეტად მძიმეა, ვიდრე გამოგვიჩნდებოდეს ახალი პიროვნება თუ ძლიერი არა მესხიშვილისთანა მაინც.

დღეს, მისი 2 წლის გარდაცვალების თავზე, უნებლიეთ მაგონდება მესხიშვილის იუბილე, გარდახდილი დიდის ზათქით და ზეიმით 1913 წელს ტფილისში, როდესაც ორმა გენიოსმა—ერთმა პოეზიაში—ვაჟამ და მეორემ—მუსიკაში კომპოზიტორ სულხანიშვილმა, ისე მძლავრად ჩამორეკეს ყველა ზარები ამ მელპომენის ტაძრისა და პირველმა თვისი ლექსით, ხოლო მეორემ მუსიკით, დაათვრეს როგორც იუბილიარი, ისე საზოგადოება.

სულხანიშვილმა, თავისს სამაგალითო ადრეს მუსიკით, მიმართულს მესხიშვილისადმი, აი რა ტექსტი შეუფარდა ვაჟასი:

„ქართულ თეატრის მშვენებავ
ღმერთმა აგხადოს წყენაო,
ვნებათ რაზმებში მებრძოლო
სალამს მოგიძღვნით ყველაო;
აპოლონისა ტაძარი
შენს თვალთ ცრემლს დაესველაო,
ქართულად ეხვეწებოდი
ქართველებს მიეც შველაო!..
ერთ დროს შეწირვა მსხვერპლისა
ძალიან გაგეძნელაო,
მაინც არჩიე უცხოურს
სამშობლო დედის კერაო;
სამშობლო დედის ძუძუი
სხვა შეედრება ვერაო,
ეს თურმე კარგა გცოდნია
მით გადღეგრძელებთ ყველაო"

ვადღეგრძელოთ ჩვენც დღეს დიდი არტისტის ხსოვნა და მუხლი მოვიყაროთ მის სამარის წინაშე...

დ. პანი.

——

ვლადიმერ მესხიშვილის 2 წლის თავი. დღეს ნოემბრის 24-ს სრულდება 2 წელიწადი სახელოვან ვლადიმერ სარდიონის ძის მესხიშვილის გარდაცვალებიდან. დიდუბის პანთეონში, სადაც დაკრძალულია მისი ნეშტი გარდახდილ იქნება პანაშვიდი.

# თეატრი და ხელოვნება

## „სიმახინჯე"

სამშაბათს, 21 ნოემბერს, რუსთველის თეატრში მ. ქორელის რეჟისორობით დაიდგა ნ. შიუკაშვილის დრამა „სიმახინჯე".

ვიდრე შესრულების შესახებ ვიტყოდეთ რასმეს, აუცილებლად საჭიროა პიესის ხასიათის მოკლედ გარკვევა. „სიმახინჯე" მით არის საინტერესო, რომ აქ მარტო ცხოვრების სოციალურ სიმახინჯეს კი არ ვხედავთ, რომლის გამო თომა ძნელაძეს თავის დამცირება უხდება და იძულებულია პიროვნული თავმოყვარეობა ფეხქვეშ გათელოს, ან საშა, რომელიც ფულით ცდილობს ყოველივე შეიძინოს და თავისი ბუნებრივი სიმახინჯე ხელოვნური სილამაზით დაფაროს. არა. აქ მთელი პიესის სიღრმე იმ სულიერ სიმახინჯის განსახიერებაში იხატება, რომელიც ერთი მხრივ „კულტურას" შემოუტანია, ხოლო მეორე მხრივ თვით ბუნებას მოუცია.

პიესაში სამი ჯგუფია ადამიანთა. პირველნი—ცხოვრების შვილნი და ჩვეულებრივად გემგებნი სინამდვილისა (თომა, დათია, ილიკო, მარო, ვასო,) მეორენი „წიგნის კაცები", რომელშიაც ჩაკლულა ლაღი ბუნება და განყენებულ მოსაზრებათ დაუპყრიათ სისალისა და ნორმალური მოთხოვნილების ადგილი (სონა, შაქრო) მესამენი, რომელნიც ბუნებას გარეგნული სიმახინჯით დაუჯილდოებია და ფიზიკურ სიმახინჯითაც გაბრაზებულნი სულიერადაც დამახინჯებულან.

პიესაში პირველი მოქმედებიდან ვიდრე დასასრულამდე გაბმულია ამ სამ ჯგუფთა შორის ურთიერთობა და იგი ღებულობს ისეთ ხასიათს, რომელიც შეიძლება მიიღოს ასეთ ადამიანთა ურთიერთობამ.

ამ მხრით პიესა ჩვენ ვფიქრობთ უფრო ღრმა ფსიქოლოგიურ ანალიზის მქონეა, ვიდრე ზერელე სოციალური შინაარსის.

ასრულების მხრით დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს სამშაბათის დადგმა „სიმახინჯისა".

თომას ბეჩავ მდგომარეობას, მამობრივ განცდას, პიროვნულ შეურაცყოფის ატანას, ფიგურალურად გვაძლევდა პ. კორიშელი. მესამე მოქმედებაში, როცა შაქროს მიერ მიღებულ ვალის ქაღალდებს ათრთოლებული ხელებით უკანვე თავზე გადააყრის მას, სავსებით მოცემულიყო იმ მამის სულიერ ტრაგიზმში, რომლის უწმიდეს საგანსაც, შვილსაც, შეახებ ბინძური ხელები.

დარია—ს. ბეჟანიშვილი პიესის განვითარებაში არ იჭერს დიდ ადგილს, მაგრამ გამწარებული დედის სურათი მესამე მოქმედებაში და გლოვიარეს, მეოთხეში, ნათლად გადმოგვცა. თავის ადგილზედ იყო ელ. დონაური (სონია). მისი ინტელიგენტური ნატურა და ფერმკრთალი სახე გვაძლევდა სურათს „წიგნის ადამიანისას" რომელსაც „ხელის აწევაც" კი ეძნელება, მიუხედავად იმისა, რომ იგი „ავად არ არის". განსაკუთრებული სულიერი ბუნება სონასი, რომელიც ანორმალურ საზღვრამდე მიდის და ტანჯვაში ეძიებს ხსნას, ეს სპეციფიური თვისებაა ინტელიგენტური სულიერი ყოფისა, რაც ცხადათ იყო ჩვენს თვალწინ წარმოდგენილ ელ. დონაურის მიერ. მას უყვარს და სურს, რომ მხოლოდ მისი სიყვარულის ობიექტი მისი საკუთრება იყოს. იგი ხერხს მიმართავს და ვანოს, მის მიჯნურს. უმანკოება დაკარგულად ეჩვენება, რადგან ასეთია ვასოც მისი ალსარების შემდეგ. მის მოხუცილე სულს უნდა განიცადოს ტანჯვის უმწეობა და მაინც ხინჯს გაუწვდის ხელს ვანოსაგან უარყოფილი.

შაქრო (ვ. ჯიქია) საკმაოდ გვაძლევდა უხალისო, უნიათო, „სწავლულის" ტიპს. ტ. აბაშიძე (გიორგი) მიუხედავად როლის პირნათლად შესრულებისა ვერ გვაძლევდა მოწაფის ტიპს, რადგან გარე-

გნობით არ შეიძლებოდა მოეცა გიმნაზიის მოწაფის ფიგურა. დამაკმაყოფილებელი იყო შ. დამბაშიძე (ილიკო) და ან. შოთაძე (მარო). მათ მოგვცეს სავსებით ცხოვრების ცოცხალ შვილების სულიერი ვითარება, თავისი ლხენითა და სიამოვნებით, შრომითა და განცდით.

აკ. ვასაძე შესაფერისი იყო თავის როლის (ვასო). ვასო სიცოცხლით სავსე ახალგაზრდაა. მასში ყველა გრძნობები არის განვითარებულ ნორმალურ ადამიანის. მას როგორც შეყვარებულს და ამდენათვე ძუნწს არ შეუძლია აპატიოს სონას უმანკობის დაკარგვა. თავისი მხრით ხურს თავის მართლება, მაგრამ არ არის სიტყვები იმას გარდა, რომ იგი ვაჟია... ეს ბევრს ვერაფერს ამბობს, მაგრამ ბევრსაც ამბობს... გრიმი არ უწყობდა ხელს, როლი სისრულით იქნა ჩატარებული.

ალ. იმედაშვილი (საშა) სრული და უნაკლო იყო. მისი ერთი გამოხედვა სავსე იყო თავისი სიმახინჯის შეგნებით, გაბოროტებით ბედისადმი, სულიერი ტრადიზმით, რომელიც ცხოველურ ინსტიქტების ძალდატანებით შესრულებაში ჰპოვებდა დაკმაყოფილებას. ალ. იმედაშვილმა მოგვცა დეგენერატი ტიპის სრული განსახიერება, ასევე ითქმის ნ. ჯავახიშვილის შესახებ—(დარეჯანი). ყოველივე საერთოს ამ ორ ტიპს შორის ემატება უკანასკნელს ბერქალის (მოხუც ქალიშვილს) ბოროტება, რომელიც დამარცხებულია სქესის ბანაკში. მართალი იყო ვეინინგერი როდესაც ბერქალის უბოროტეს არსების სახე საუცხოვოდ მოგვცა ნ. ჯავახიშვილმა.

მ. საფაროვი (ფილიპე) და დ. ნაცვლიშვილი (მსახური) ვერ იყო დამაკმაყოფილებელი. პირველს აკლდა გრძნობა და სიტყვებს იმეორებდა მხოლოდ, მეორე კი ვერ გვაძლევდა იმერელი მსახურის ტიპს, აკლდა იმერული მოხდენილობა და სიმართლე.

დადგმა მოხდენილი იყო. საჭიროა მხოლოდ დეკორაციების გამაგრება. აივანის სვეტიც ჰკრს უნდა უწევდეს.

სამწუხაროა, რომ საზოგადოება ნაკლებად დაესწრო.

დამსწრე.

## იოლი საქმე.

ზევრია ისეთი საშუალება, რომელიც სხვაგან და სხვა გარემოებაში შეიძლება სასარგებლოდ და განათლების სამსახურად იყოს აღიარებული, მაგრამ ჩვენში თუ გადმოვნერგოთ, სიავის მეტს ვერაფერს დაგვიყრის.

ამიტომ ცხადია თუ რაოდენი დაკვირვება და სიფრთხილე გვმართებს, რომ სასიკეთო და სასარგებლოს მაგიერ უკუღმართს არ შევუწყოთ ხელი.

ლიტერატურულ საღამოებზე მოგახსენებთ!

ჩვენს კურთხეულ ქვეყანაში ამ ჟამად ყველაზე უფრო იოლ საქმედ გახდარა „ლიტერატურულ-მეცნიერულ—არაჩვეულებრივ—მხატვრულ მუსიკალურ საღამოების“ მოწყობა.

ბევრს, ძალიან ბევრს „მოღვაწეთ“ დღეს ეს საქმე ყველაზე უფრო გაადვილებათ და ეს იმიტომ, რომ აქ არც ნიჭია საჭირო, არც გამოცდილება...

საჭიროა მხოლოდ კალმის შემწეობით გეხვეწებოდეს ზეწრის ოდენა ცრუმაზროვან აფიშების შედგენა და მონაწილედ ყველა ცნობილ მგოსან მსახიობთა გამოცხადება—უკანასკნელთა დაუკითხავად.

ერთი ასეთი საღამო დანიშნული იყო რუსთაველის თეატრში ორშაბათს, ნოემბრის 20-ს ვინმე მგოსანი (თვითონ აგრე უწოდებს თავის თავს) ევგენი დვალის მეთაურობით.

ჯერ კიდევ ათი დღით ადრე ტფილისის ქუჩებს ამშვენებდა მრავალფეროვანი აფიშები არაჩვეულებრივის შინაარსისა:

... „მგოსანი ევგენი დვალის მიერ გაიმართება უდიდესი ახალი, არაჩვეულებრივ, ლიტერატურულ-მეცნიერული და მხატვრულ მუსიკალური მშვენიერი საღამო—სრულიად ახალი უწყებით, ლექციებით და პიესებით. ევ. დვალი წაიკითხავს თავის ახალ მეცნიერულ ნაწარმოებს: რუსთველის დასვა გალობის სოციალისტური მოძრაობისათვის მე-12 საუკუნეში, ქრისტეს ნამდვილი ადგილი და 40 წლის სიცოცხლე, მარადიული სიცოცხლის—მიღწევა და სიკვდილის მოსპობა-განადგურება, ახალი ქვეყნის—ვარსკვლავთა ცლომის და სხვ.“

და ასეთმა რეკლამამ, რასაკვირველია არ ჩაიარა სრულიად უნაყოფოდ.

თეატრის დარბაზში რამოდენიმე ათეულმა კაცმა მოიყარა თავი. დანიშნულმა დრომ განვლო, მაგრამ ფარდა აღარ იხდება... ხმები: საღამო უნდა გადაიდოს „ავადმყოფობის“ გამო... 10 საათზე მგოსანი დვალი [illegible] რომ სხვა და სხვა მიზეზების გამო, დღეს საღამო აღარ შედგება და მიზეზად თეატრის ადმინისტრაციას ასახელებს.

ხალხი აჩოჩქოლდა...

— ფული, ბილეთების ფული მაინც დაგვიბრუნეთ,—გაიძახის ხალხი, მაგრამ ევგენს ფული უკვე აღარ აღმოჩნდა, და განაცხადა მერე მიიღებთო.

ხალხი უფრო აღელდა... აკადემიურ თეატრების პოლიტიკური კომისარი მილიციას თხოულობს წესრიგის აღსადგენად. მთელი საათი მოუნდა ხალხის დამშვიდებას. ყველანი ზვიად წამოვიდნენ.

— შურს ვიძიებ, შურსაო,—ამბობს ევგენი და სტოვებს თეატრის დარბაზს.

ნაშუადღევის 2 საათზე ევგენი ჩაქუჩით ხელში ეწვია რუსთაველის თეატრს და პეტრე ქავთარაძის თანდასწრებით ამტვრევს და ამსხვრევს თეატრის მინებს (სარკეებს).

— ევგენი რას სჩადი?—ეხვეწება პეტრე...

— არ მესმოდა, მე პოეტი ევგენი დვალი ვარ,—იძახის მილიციონერს.

— ხომ დავამარცხე თეატრი, ხომ ვიძიე შური,—გაიძახის ევგენი სადღეს საღამოში ეხლაც.

მცოდნე—შემფასებელთა სიტყვით ზარალი რამოდენიმე ათეულ მილიონს უდრის.

საინტერესოა ვიცოდეთ: როდემდისაც ვიღაც დვალზე თეატრს ცვლიან და საღამოს გამართვის ნებას აძლევენ, რას ფიქრობდნენ ჩვენი თეატრის მესვეურნი?

ვიჩი.

# მოწყენილი ამბები

გურია. გურია მოგვაგონებს ბრძოლის ცეცხლით ანთებული სულის მქონე ვაჟკაცს, რომელიც ქედს არ უხრის არავითარ დაბრკოლებას არავითარ განსაცდელს და მარად ენერგიით აღსავსე შეუჩერებლივ მიისწრაფის აღთქმის ქვეყნისაკენ!.

სწორედ ვაჟკაცს წააგავს რევოლიუციონური, ჩვენი ტურფა საქართველოს ერთად ერთი შესანიშნავი კუთხე, საყვარელი გურია..

ბევრი დაბრკოლება, ბევრი განსაცდელი გადაიტანა მან და ახლა მზის სინათლეზე გამოსულს, გამარჯვებულ გურიას, ბევრი დაბრკოლებები, ბევრი შავი გრიგალები ელობებიან წინ, რაც ხელს უშლის მის აყვავება-აღორძინებას!..

ერთი ასეთი დამაბრკოლებელი მიზეზი იყო უკანასკნელი წყალდიდობა...

კიდევ არ იყო აღდგენილი ის ზარალი, კიდევ არ იყო განკურნებული ის მძიმე იარები, რომლებიც გამოწვეული იყო სექტემბრის პირველ რიცხვებში მომხდარ წყალდიდობით, რომ ახლა მეტი სიძლიერით განმეორდა ის... რომ ახლა მეტი ძალ-ღონით ეკვეთა წყალმა გურულ ხალხის სარჩო-საბადებელს, სახლსა და კარს, ერთი სიტყვით ყველაფერს, რაც კი გააჩნდა გურულებს! არავის ახსოვს ასეთი ძლიერი წყალდიდობა, რამაც დააზარალა ხალხი...

მთელი ის შრომა და ენერგია, რაც დახარჯა ხალხმა ქვეყნების აყვავებისათვის—რევოლიუციის შემდეგ. წყალდიდობის გამო უნაყოფო დარჩა.

დაზარალდა მთელი საქართველო და ასეთივე ბედი ერგო გურიასაც.. მაგრამ გურული ხალხი წარბ-შეუხრელია; იგი გმირულად ებრძვის, ყოველგვარ დაბრკოლებას და მომავლის იმედით საზრდოობს... ბევრი შავი დამე გადაუტანია მას, ბევრ გრიგალს გაუძლევია მის კეკლუც მიდამოზე და გადაიტანს ამ მოულოდნელ უბედურებასაც. თუ დღეს შეფერხებულია კულტურული მუშაობა, თუ დღეს გურიის მომღიმარე ცას შავი დრუბლები გადაფარებია, ეს ყოველივე წუთიერია... მე მრწამს, რომ მალე დამშვიდდება გადახდილის ქარი და გურიაც აღსდგება, გურიაც განიკურნება!..

დ. ჯვანაშვილი.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ამხ. რედაქტორო!

ვინაიდგან „Заря востока“-ში № 127 და „Правда грузи“-ის № 490 და 491 ობსერვატორიის შესახებ მოთავსებულ წერილების გამო ზოგიერთ ნაცნობებსა და მეგობრებისაგან შემხვდა საყვედური, —ამიტომ გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს გაზეთში ჩემს ქვემორე განცხადებას და მით საშუალება მომცეთ გავფანტო ზოგიერთი გაუგებრობა.

მე არ მიმიმართავს ტფილისში არსებულ ყოველ დღიური პრესის არც ერთი თანამშრომლებისათვის თხოვნით, რათა გაშუქებულიყო ჩემთვის და „უმხილებინათ ბნელი მხარეები პროფ. ბენაშვილისა, როგორც ობსერვატორიის დირექტორის“.

არც ერთს რედაქციას არ შეუძლია თქვას, რომ მე (ნაფეტვარიძე) ვიყავი მათთან და მიმეცი რაიმე ინფორმაცია სიტყვიერი ან წერილობითი ზემოაღნიშნული მიზნით. მე თითქმის არც კი ვიცნობ არც ერთს თანამშრომელს ტფილისის პერიოდულ გამომცემლობისა, გარდა ტრიბუნისა.

თუმცა ობსერვატორიაში საშინელ და აუტანელ პირობებში ვიყავი, მაგრამ ჩემი გოდება არ გასცილებია ობსერვატორიისა და „ნარკომპროსის“ ოფიციალურ კედლებს.

მე სრულიადაც არ მინდოდა გამოტანილიყო ყოველივე ეს „სიმყრალე და სიბინძურე“ ობსერვატორიის გარეთ, ყოველ შემთხვევაში [illegible].

მე რამდენჯერმე მივეცი წინადადება სიტყვიერად და წერილობითაც ობსერვატორიის დირექტორს. პროფ. ბენაშვილს შეეწყვიტა ის ანარქია, თვითნებობა და უთაობა, რომელიც [illegible] იყო და არის გამეფებული ობსერვატორიაში, შეეჩერებინა ჩემი დევნა და გაძევება ობსერვატორიიდან 24 ოქტომბრის № 25 წერილით პროფ. ბენაშვილს დაახლოვებით შემდეგსა ვწერდი:

„... მდგომარეობა სერიოზულია და აუტანელი..... მე წმინდის გულით შეგიერთე ჩემი ხმა საზოგადო კრების სურვილსა და დადგენილებას და დავივიწყე ყველა ის შეურაცყოფანი და დამცირებანი, რომლებიც მე განვიცადე ობსერვატორიაში, როგორც ადამიანმა, როგორც მუშაკმა, როგორც უფროსმა თანამშრომელმა და ბოლოს, როგორც ქართველმა. ვიმეორებ, რომ მე ყველა ეს სრულიად დავივიწყე და არაფერი ნაბიჯი თქვენს წინააღმდეგ არც საზოგადოებაში, არც პრესაში და არც ობსერვატორიაში, არ გადამიდგამს და არც გადავდგამ. ამიტომ თქვენც გთხოვთ შეწყვიტოთ ჩემს წინააღმდეგ „შეუბრალებელი“ ბრძოლა, როგორც ობსერვატორიაში, აგრეთვე საზოგადოებაშიც, ნუ მსდევნით და მაძევებთ ობსერვატორიიდან. ამ მხრივ გადადგმული ნაბიჯები ვთხოვთ შეაჩეროთ. ამას მოითხოვს ობსერვატორიის ინტერესები, როგორც სამეცნიერო დაწესებულებისა. თქვენ თუ ჩემს „სიკვდილს“ მოინდომებთ—მე იძულებული ვიქნები ეკონომიურობის გამო მივმართო ყოველივე ხერხსა და საშვალებას თავის დასაცავად.

ვიმედოვნებ, რომ გრძნობებს დაუძლევს კეთილი გონიერება და მოითხოვს დღევანდელი ჩვენი მეგობრობა“.

სამწუხაროდ ჩემმა ასეთმა გულწრფელმა წერილმა ვერ მიაღწია მიზანს და დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა: პროფ. ბენაშვილი კი ძველებურად განაგრძობდა ჩემს გამოძევებას ობსერვატორიიდან, ილაშქრებდა ჩემს წინააღმდეგ რესპ. უმაღლეს სამეცნიერო საბჭოში და ობსერვატორიის სამეცნიერო საბჭოში.

როდესაც 26 ოქტომბერს პროფ. ბენაშვილმა თავის ნებით მოიხსნა სამეცნიერო საბჭოს წევრობიდან ე. ი. ჩამოიხადა სახელ-წოდება საბჭოს წევრობისა და ამასთანავე ყოვლად დაუსაბუთებლად დაუშვებელი სიტყვებით გამლანძღა, მე არ შემეძლო არ გამეწია ანგარიში ჩემი მდგომარეობისათვის და მივმართე მთავრობის წევრს შრომის კომისარს. მოადგილეს ამხ. არ. მიქაძეს, რომელიც გაეცნო რა მდგომარეობას, წინადადება მომცა შემდეგნა განცხადება და მომეთხოვა დაცვა; მეც ასე მოვიქეცი.

მე ყოველი ზომები მივიღე საქმის მშვიდობიანად და შინაურულად გადასაკეთლად, მაგრამ, როგორც ხედავთ, ეს შეუძლებელი გახდა.

როდემდის უნდა ვყოფილიყავი ამ აუტანელ მდგომარეობაში, როდემდის უნდა ამეტანა ყოველ დღიური შეურაცხყოფა დირექტორის მომხრე ობსერვატორიის დამხმარე მოხელეებიდან?! როდის შესწყვეტდა პროფ. ბენაშვილი ჩემს დევნას ობსერვატორიიდან?!

ზოგიერთი მეტყვის, ალბათ, რომ უნდა მეცადა იმ კომისიისათვის, რომელიც გამოითხოვა საზოგადო კრებამ საქმის გამოსარკვევად.

— კეთილი და პატიოსანი.

პროფ. ბენაშვილმა შეასრულა საზოგადო კრების დადგენილება და სულგრძელი და ზოგიერთ თანამშრომლების წინადადება ნაფეტვარიძის წინააღმდეგ შეტევის შეწყვეტის შესახებ?!! რასაკვირველია—არა, ვინაიდან კრების დადგენილების წინააღმდეგ 26 ოქტ. გამოილაშქრა ყველაზე მიუღებლად და დაუშვებლად ჩემს წინააღმდეგ ობსერვატორიის სამეცნიერო საბჭოში, მოითხოვა ჩემი საბჭოდან გამორიცხვა—რაც თავის თავად არაკანონიერი პირობებისა. თუ ეს მართალი არ არის—მკითხეთ თვით პროფ. ბენაშვილს.

რა უნდა მექნა მე—უნდა დამეკრიფა გულზე ხელი და უნდა მეცქირა პროფ. ბენაშვილის მიერ ჩემი პიროვნების გათელვისა და შეურაცხყოფისათვის??

ფიზიკოსი აკაკი რაჟდენის ძე ნაფეტვარაძე.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი

დაიკარგა მატრიკული მოცემული სახელმწიფო უნივერსიტეტისაგან, სამკურნალო ფაკულტეტის სტუდენტის შალვა ჩარკვიანის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.
№ 348

# განცხადება

## ალმასკომის გადასახადთა ბიურო

ამით აცხადებს რომ ალმასკომის საკრებულო დარბაზში 25 ნოემბერს ა. წ. დილის 12 საათზედ დანიშნულია

# საჯარო ვაჭრობა

სასტუმროზედ: კომერციული ნომრები (ირაკლის ქ. № 8) კონდიციის გაგება შეიძლება გადასახადთა ბიუროს კანცელარიაში ოთახი № 50.
№ 171. 2—1

# სია

## საადგილო რაიონების ხელმძღვანელთა და სარაიონო ბიუროების მისამართი

1. რაიონი: ბიურო მოთავსებულია ოლღინის ქ. (ყოფ. ოლღას ქ.) № 48, საქართველოს ცენტრალური არქივების სამმართველო, ტელ. № 2—55.
ხელმძღვან. ჩიგოგიძე ბესარიონ და ფ. ჩხეა (უკანასკნელი საბურთალოს რაიონის).
2. რაიონი: ბიურო მოთავსებულია რუსთაველის თეატრში, რუსთაველის პროს. (ყოფ. გოლოვინის ქ.) № 21, ტელ. № 8—07.
ხელმძღვან: კარბელაშვილი [illegible].
3. რაიონი: ბიურო მოთავსებულია მე-3 შრომის სკოლის შენობაში (ლერმონტოვის ქ. № 8, ტელ. 4—57.
ხელმძღვ ნ: კოქიაშვილი მიხ.
4. რაიონი: ბიურო მოთავსებულია სახალხო სასწავლებლის შენობაში (ბეჰელის მოედანი) (ყოფ. ეკზარხის) ტელ. № 3—99.
ხელმძღვ ნ: ასათიანი ეკატერინე.
5. რაიონი: ბიურო მოთავსებულია მე 5 რაიკომის კომუნართა ქ. (ყოფ. გორონცოვის) № 7, ტელ. № 77.
ხელმძღვან: კიურეგიანი. გ.
6. რაიონი: ბიურო მოთავსებულია სათბოს გაწყ. ნავთის საწყობთან კახეთის და ნავთლუღის ქ. კუთხე, ტელ. № 5—85.
ხელმძღვან: კარიჭაშვილი დავით.
7. რაიონი: ბიურო მოთავსებულია თამბაქოს ქარხანაში „მირ“ ვორონცოვის მოედანი № 7, ტელ. № 2—19.
ხელმძღვან: მხეიძე ვიქტორ.
8 რაიონი: ბიურო მოთავს. 19 თებერვლის ქ. № 2, მე-8 ტეხნიკუმთან ტელ. № 2—49.
ხელმძღვან: კვატაშიძე მიხეილ.
9. რაიონი: ბიურო მოთავსებულია მიხეილ. და რეუტოვ. ქ. კუთხეში, ვ. აბულოვის სახლში.
ხელმძღვან: კარახანოვა ქოზეფინა.
10. რაიონი: ბიურო მოთავსებულია მუშათა კლუბში, პლეხანოვ. № 121, ტელ. № 5—73.
ხელმძღვან: კეჩელი მ.
11. რაიონი: ბიურო მოთავსებულია საბჭოთა (ყოფ. ჩერქეზიშვილის) ქ. № 326 ნაძალადევის სამკურნალოსთან, ტელ. № 2—62.
ხელმძღვან: პავლოვი ბ.
12. რაიონი: ბიურო მოთავს. პლეხანოვის (ყოფ. მიხეილ.) № 182, ჩოდრიშვილის სახელობის მუშათა კლუბთან.
ხელმძღვან: ჯაფარიძე ვლადიმერ.

სათადარიგო ხელმძღვანელი ელ. იაკობაშვილი ჩიგოგიძისა.
საქ. ადწერის ბიურო მოთავსებულია განოვის ქ. № 3, ტელეფ. № 2—31.
საქ. ადწერის ბიუროს თავმჯდომარის ტელ. № № 2—31, 1—15, 19—1.

საქ. ადწერის ბიუროს თავმჯდომარე.

№ 168. 2—2.

# ფ.-ტელ. სახალხო კომისრის რწმუნებული საქართველოში აცხადებს, რომ ხუთშაბათს, 30 ნოემბერს, დღით 12 საათ. ფ-ტელ. კომისარიატის შენობაში

(რუსთაველის ქუჩა № 43)

დანიშნულია შეჯიბრება 2000 ფ. თივის დამზადების შესახებ ტფილისის სახაზინო საფოსტო სადგურისათვის. მსურველს შეუძლია განცხადება ამ საქმის ალებაზე შემოიტანოს ფოსტა-ტელეგრაფის კომისრის რწმუნებულის სახელზე დახურულ კონვერტში, თავისი პირობების აღნიშვნით 9—2 საათამდე საქმე დღეს.

მონაწილეობის მიმღებთ შეჯიბრებაში თან უნდა ექნათ გირაო 5 პროც. მისაღებ საღირლისა.—წინდაწინ ავანსათ ფული არავის მიეცემა. დაწვრილებითი ცნობების გაგება ამის შესახებ შეიძლება დასახელებულ კომისარიატის საფოსტო განყოფილებაში ყოველ დღე მუშაობის დროს.

ა/კ. ფოსტელსახკომის რწმუნებული საქართველოში

ა. ჟამარაული

განყოფილების გამგე ცაგარეიშვილი

167 2—2

ტირაჟი 1980
საქართვ. უმაღლ. მეურ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. სტამბა კრუზენშტერნის ქუჩ. № 2.